თანხმობის არარსებობისას ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების გამიჯვნა სექსუალური შევიწროებისგან

თამთა ჯანიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თამთა ჯანიაშვილი

2025 წელი

აბსტრაქტი

სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება მიეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც თავისი ბუნებით ლატენტურია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, იგი მოიცავს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას და ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეობის მდგომარეობის გამოყენებით.

ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი თემები, რომლებიც უშუალოდ ეხება თანხმობის არარსებობის პირობებში ჩადენილ სექსუალური ხასიათის სხვაგავრ ქმედებას. მოცემულ ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული ძალადობის, ძალადობის მუქარისა და უმწეობის მდგომარეობაზე, გარდა ამისა, გამოკვეთილი იქნება ნების დამთრგუნველი გარემოებების მუხლის დისპოზიციაში დანახვის პერსპექტივაზე. საერთაშორისო სტანდარტებისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვასთან ერთად, გააანალიზდება პრაქტიკოსი იურისტების პოზიციებიც, კერძოდ, თუ რა სირთულეებს აწყდებიან ისინი თანხმობის არარსებობის პირობებში სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების განმარტებისას. რა კომპონენტებს აქცევს ყურადღებას ბრალდების, დაცვის მხარე და ასევე როგორ აფასებს სასამართლო თანხობის კომპონენტს. ნაშრომში შემოთავაზებულია ინდიკატორები, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და სექსუალური შევიწროებისთვისაა მნიშვნელოვანი.

კვლევის მიზანია წარმოჩნდეს სსკ-ის 138-ე მუხლში ცვლილების შეტანის აუცილებლობა თანხმობის კომპონენტთან დაკავშირებით. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ის სირთულეები, რასაც აწყდებიან პრაქტიკოსი იურისტები ამ მუხლზე მუშაობისას და საუბარი იქნება მის თანმდევ შედეგებზე, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ მოქმედი კანონის მიხედვით, შესაძლებელია, მოძალადე დაუსჯელი დარჩეს და მართლმსაჯულების განხორციელებას საფრთხე შეექმნას. თანხმობის, ანუ ნამდვილი ნების გამოვლენასთან დაკავშირებით ნაშრომში განხილული იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოს გახდის

თანხმობის, ანუ ნამდვილი ნების გამოხატვის აუცილებლობის კრიტერიუმებსა და მისი საკანონმდებლო რეგლამენტაციის აუცილებლობას.

გარდა ამისა, ნაშრომში შემოთავააზებულია ინდიკატორები, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და სექსუალური შევიწროების გამიჯვნისთვისაა მნიშვნელოვანი.

საკვანძო სიტყვები: თანხმობის არარსებობა,

სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება,

სექსუალური შევიწროება.

Abstract

Other acts of a sexual nature fall within the category of inherently latent crimes. According to Article 138 of the Criminal Code of Georgia, such conduct does not include the act defined under Article 137 and is committed through the use of violence, threats of violence, or by exploiting the victims' helplessness.

This paper explores issues related to acts of a sexual nature committed in the absence of consent. Particular focus is placed on violence, threats, and situations of helplessness, while also addressing the relevance of coercive circumstances and their interpretation under the article's disposition. In addition to reviewing international standards and judicial practice, the paper analyzes the perspectives of legal practitioners, highlighting the challenges they face when interpreting acts of a sexual nature committed without consent. The research examines which elements are emphasized by the prosecution and defense, as well as how courts assess the element of consent.

The study proposes specific indicators relevant to distinguishing acts of a sexual nature from sexual harassment.

The primary aim of this research is to demonstrate the need to revise Article 138 of the Criminal Code to include a clear definition of consent. The paper presents practical challenges encountered by legal professionals when applying this article, along with the legal consequences, including the possibility of perpetrators avoiding accountability and the resulting threat to the proper administration of justice. Judicial decisions are analyzed to identify criteria for recognizing true consent and to underscore the need for its legislative regulation.

Furthermore, the paper proposes indicators essential for drawing a clear distinction between other acts of a sexual nature and sexual harassment.

keywords:

lack of consent,

other acts of a sexual nature,